პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 (9469) | ხუთშაბათი, 1 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ახალი წელი, ახალი ამოცანები

დამთავრდა 1952 წელი. დგება ახალი, მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წელი — ახალი წარმატებებისა და შრომითი მიღწევების წელი.

ახალი წლის მიჯნაზე საბჭოთა ადამიანები გონების თვალს ავლებენ გასულ წელს, აჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს, წარმოიდგენენ ახალ, დიდ ამოცანებს, რომლებიც მათ 1953 წელს უნდა გადაწყვიტონ.

1952 წელი ლენინ — სტალინის პარტიის, საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა წელი იყო. იგი ისტორიაში შევიდა როგორც პარტიის XIX ყრილობის მოწვევის წელი.

გასულ წელს საბჭოთა ადამიანებმა მიიღეს ფასდაუდებელი საჩუქარი — ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

პარტიის XIX ყრილობამ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების, მისი მწვერვალის ამხანაგ ი. ბ. სტალინის კლასიკური ნაწარმოების — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — საფუძველზე განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პირობები და გზები. საბჭოთა ადამიანები უდიდესი თავდადებითა და გმირული შეუპოვრობით მუშაობენ პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, კომუნიზმის მშენებლობის შესახებ ამხანაგ სტალინის მიერ დასახული გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენი სამშობლოს თვითეული მშრომელის უპირველესი ფიქრი და სიტყვა — ეს არის გულითადი მადლობა ლენინ — სტალინის დიადი პარტიისადმი, მშობლიური ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი ბედნიერი და საამური სოციალისტური ცხოვრებისათვის.

ამ დღეებში საბჭოთა სამშობლოს დედაქალაქი — მოსკოვი ჩვენი დიადი ქვეყნის ყოველი კუთხიდან იღებს პატაკებს 1952 წლის სახელოვან შედეგებზე. დონბასისა და კუზბასის მეშახტეები, ურალისა და უკრაინის მეტალურგები, მოსკოველი და ლენინგრადელი მანქანათმშენებლები, უხვი საკოლმეურნეო მოსავლის ოსტატები ისწრაფვიან გაახარონ სამშობლო, ლენინ — სტალინის პარტია 1952 წელს მოპოვებული მიღწევებით. საბჭოთა კავშირის სახელოვანმა მუშათა კლასმა წარმატებით შეასრულა მეხუთე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო დავალებანი და კიდევ უფრო განამტკიცა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება, ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, კომუნიზმის გზაზე.

შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწიეს 1952 წელს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეებმა. შარშან მათ 8 მილიარდი ფუთი მარცვლეული მოიყვანეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მარცვლეულის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში გადაჭრილია საბოლოოდ და სამუდამოდ.

დიდია კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა მიღწევები. 1952 წელს მწყობრში ჩადგა კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობათა პირშო, მსოფლიოში უდიდესი ჰიდროტექნიკური ნაგებობა — ვოლგა-დონის სანაოსნო არხი, რომელსაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი მიეკუთვნა. მძლავრად კაშკაშებს კომუნიზმის შუქი ვოლგასა და დონზე. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება კომუნიზმის დიადი მშენებლობანი.

ყოველდღე, ყოველ საათობით გვიახლოვდება კომუნიზმის ელვარე მწვერვალები. კომუნიზმის საქმის გამარჯვების პირობაა ლენინ — სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, სოციალისტური საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელობა, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა.

საბჭოთა სამშობლოსადმი, ლენინ — სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით ივსება თვითეული მშრომელის გული, როცა თვალს ავლებს ჩვენს აყვავებულ, მძლავრ სამშობლოს.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თვალსაჩინო წარმატებებით ეგებებიან ახალ, 1953 წელს საბჭოთა საქართველოს მშრომელები. ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა ქარხანამ და ფაბრიკამ, შახტმა და მაღარომ ვადამდე შეასრულა წლიური საწარმოო დავალება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის, მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში შარშან დიდი მოვლენა იყო საქართველოს კომპარტიის XV ყრილობა. ყრილობის მუშაობას საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ამხანაგ სტალინის პირადი მითითებები. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებები, ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებანი საქართველოს კომპარტიის გაშლილ პროგრამად გადაიქცა ძველი ხელმძღვანელობის პოლიტიკური ჩავარდნის, მის მიერ დაშვებული დიდი შეცდომების აღმოფხვრისათვის ბრძოლის საქმეში.

გასულ წელს მოპოვებული წარმატებანი იმის შედეგია, რომ 1952 წლის აპრილიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა გაბედულად და ენერგიულად, მტკიცედ და განუხრელად ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, დიდი სტალინის მითითებებს. ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების, ნაკლოვანებების, ავადმყოფური მოვლენების, მუშაობის მანკიერი სტილის აღმოსაფხვრელად და მუშაობის ლენინურ-სტალინური სტილის ასაღორძინებლად, რომელიც თავის დროზე საქართველოს კომპარტიაში ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ დანერგა.

განვითარებისა და წინსვლის დიდი, ნათელი პერსპექტივებია დასახული საბჭოთა ხალხის წინაშე ახალ, 1953 წელს. მეხუთე სტალინურ ხუთწლედში ჩვენი სამშობლოს ძალები შემდგომ გაიზრდება და აყვავდება. ახალ შესანიშნავ წარმატებებს მოიპოვებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომელთა მშრომელები, საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით, აშენებენ სოციალიზმს, თავის ახალ მშვენიერ ცხოვრებას.

სულ სხვა სურათია კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მილიონობით მშრომელი გაჭირვებასა და სიღატაკეში ცხოვრობს. ახალი, 1953 წელი კაპიტალისტურ ქვეყნებს სახალხო მეურნეობის შემდგომ დაქვეითებასა და დაცემას უმზადებს, რაც კიდევ უფრო გაუარესებს მშრომელთა საარსებო პირობებს. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტები ცდილობენ ახალი ომის უფსკრულში დაგაჩეხონ მსოფლიო. მესამე წელია ამერიკელ-ინგლისელი დამპყრობლები სისხლიან ინტერვენციას ეწევიან კორეაში. მამაცი კორეელი ხალხი გმირულად იბრძვის ინტერვენტთა წინააღმდეგ. იზრდება კოლონიურ ხალხთა წინააღმდეგობის ძალები.

გასული წელი ღირსშესანიშნავი იყო იმით, რომ კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა საყოველთაო-სახალხო მოძრაობა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესით. მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელი სიყვარულით წარმოთქვამს მშვიდობის დიდი მედროშის — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელს. ყველგან, მსოფლიოს ყოველ კუთხეში მშრომელი ადამიანები იცნობენ ამხანაგ სტალინს, უყვართ ამხანაგი სტალინი, იმედს ამყარებენ ამხანაგ სტალინზე.

სულ უფრო იზრდება და მტკიცდება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალთა ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი.

სტალინის სახელით ეგებება ახალ, 1953 წელს ჩვენი ხალხი. საბჭოთა ადამიანები გამოთქვამენ ურყევ რწმენას, რომ ლენინ — სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით წარმატებით იქნება შესრულებული მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გეგმა.

ახალ, 1953 წელს ახალი დიდი წარმატებებისათვის კომუნიზმის მშენებლობის საქმეში!

მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ

⊙

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

⊙

საათზე
უხილავ თითებით
ისრებს რომ
თორმეტზე გადასწევს,
ჩვენ ვხვდებით
ახალ წელს დიდებით,
ჩვენ ვხვდებით
ხალისით ახალ წელს!

ემატოს
სიმტკიცედ ეს წელიც
სამშობლოს
უთვალავ ხარაჩოს,
ის გვყავდეს,
ის გვყავდეს დღეგრძელი,
ვინც ხალხთა
მშვიდობას დარაჯობს.

მას ჩვენი
სალამი პირველად,
მის ორგულთ —
დამხობა უსულოდ!
ჩვენს იმედს,
ჩვენს დიდ მზეს —
დიდ ბელადს
დიდი ხნის სიცოცხლე
ვუსურვოთ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲔᲑᲛᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ

29 დეკემბერს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მეშახტეებმა ვადამდე შეასრულეს ენერგეტიკული და კოქსვადი ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმა, დაწესებული 1952 წლისათვის. (საკდესი).

ᲡᲡᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔ�გᲛᲐ

ნავთის მრეწველობის მუშაკებმა ნავთის ამოღების სახელმწიფო გეგმა, რომელიც სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროს დაუწესდა 1952 წლისათვის, შეასრულეს 1952 წლის 26 დეკემბერს და ნათელი ნავთპროდუქტებისა და საცხები ზეთის წარმოების გეგმა — 27 დეკემბერს. (საკდესი).

ᲡᲡᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔ�გᲛᲐ

სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტმა ვადამდე შეასრულა დატვირთვის სახელმწიფო გეგმა, რომელიც გზათა სამინისტროს დაუწესდა 1952 წლისათვის.

სატვირთო ვაგონის ბრუნვის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, ორთქლმავლებზე სათბობის მომჭირნეობის და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების საგეგმო დავალებანი შესრულებულია გადაჭარბებით. (საკდესი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔ�გᲛᲐ

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგად თბილისის მრეწველობამ 29 დეკემბერს შეასრულა საერთო პროდუქციისა და მეტწილ ნაკეთობათა გამოშვების 1952 წლის საწარმოო პროგრამა.

იმ საწარმოთა შორის, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა, არიან სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, ქარხანა „დაზგა“, კამვოლ-მაუდის ფაბრიკა, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა, ძაფსართავი ფაბრიკა, მარგარინის ქარხანა, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი და მთელი რიგი სხვა საწარმონი.

1952 წლის 29 დეკემბრისათვის გამოშვებულია მნიშვნელოვნად მეტი პროდუქცია, ვიდრე 1951 წელს.

1952 წელს თბილისის სამრეწველო საწარმოებმა აითვისეს ახალი სახეობის ლითონსაჭრელი ჩარხების, კვების მრეწველობის სხვადასხვა მანქანის, ლიფტის, ქსოვილის, მომინანქრებული ჭურჭლისა და სხვა პროდუქციის წარმოება.

ქალაქის საწარმოებში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება 1953 წლის — ახალი სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. (საკდესი).

ᲐᲦᲑᲐᲜᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔ-8 ᲢᲝᲛᲘ

ᲢᲘᲠᲐᲜᲐ. (საკდესი). ტირანაში ალბანურ ენაზე გამოიცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-8 ტომი. გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ცალი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲔᲒᲔᲑᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲩᲐᲠᲮᲔᲑᲘ

სასახელო საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა სამეურნეო წელი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ. კიროველებმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის გაანაღდეს და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ათობით ლითონსაჭრელი ჩარხი გამოუშვეს.

შარშან ქარხანაში აითვისეს და გამოუშვეს 4 ტიპის ახალი ლითონსაჭრელი ჩარხი, აგრეთვე დამხვეები მანქანა, რომელსაც ფართო გამოყენება აქვს ელექტრომრეწველობაში.

წელს ჩარხმშენებელთა წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. ჩარხების გამოშვება შარშანდელთან შედარებით 13 პროცენტით გაიზრდება, ათვისებულ იქნება მთელი რიგი ახალი ტიპის ჩარხები, გაუქმდებიდება არსებული ჩარხების კონსტრუქცია.

2 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ

თბილისის საელექტროენერგეტიკო დეპოს მოწინავე მემანქანეები მატარებელთა ლუნინური ტარებით საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებენ ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმებს. მათ 1952 წელს 2 ათასზე მეტი მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს და გეგმის გადამეტებით 700 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდეს. ამით მათ სამშობლოს 400 ათასი მანეთის ეკონომია მისცეს.

განსაკუთრებით მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს ცნობილმა მემანქანეებმა, ძმები წონის მატარებელთა ტარების ოსტატებმა გრიგოლ და გენადი ბოგვერაძეებმა, ო. ლიკლიკაძემ, გ. ბერუაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც მატარებელთა წონის გადიდებასთან ერთად საგრძნობლად გაზარდეს ელექტრომავლის ტექნიკური სიჩქარე და სადღეღამისო გარბენა.

ამ მოწინავე მემანქანეების გამოცდილების განზოგადება-გავრცელებამ ხელი შეუწყო მძიმე წონის მატარებელთა ტარების ოსტატების რიგების ზრდას. 1952 წელს მძიმე წონის მატარებლის ტარების ოსტატთა რიცხვს შეემატნენ ახალგაზრდა მემანქანეები გ. აბაშიძე და შ. გვენტაძე, რომლებმაც გეგმის გადამეტებით 37 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდეს.

ᲥᲡᲝᲕᲘᲦᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის ერთ-ერთი მოწინავეა თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა.

მემაუდეებმა 1952 წლის სახელმწიფო გეგმა ვადაზე 6 დღით ადრე 25 დეკემბრისათვის შეასრულეს და წლის განმავლობაში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 50 ათასი მეტრი მაუდი და შალის ქსოვილი. გარდა ამისა დაზოგეს 40 ტონა ნედლეული და დიდძალი საწვავი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გასწიეს 4 მილიონი მანეთის ეკონომია.

მაღალნაყოფიერი შრომით განსაკუთრებით ისახელეს თავი მქსოველებმა ი. სოლომონაშვილმა, ბ. კოკოლაშვილმა, მრთველებმა ვ. ჯოხაძემ, ნ. ბარამიძემ, მ. ივანისელმა, მეფთილე ნ. ჩაჩანიძემ, მჩეჩავმა რ. არქიელიძემ და სხვებმა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡ

1. ᲖᲣᲡᲢᲘ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲤᲝᲑᲘ

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის მიერ დამზადებული ზუსტი ხელსაწყოები დიდი რაოდენობით ეგზავნება კომუნიზმის დიად მშენებლობებს, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადმოწყობილ სამეცნიერო ლაბორატორიებს.

საახალწლოდ ქარხნის კოლექტივმა ასეთი ხელსაწყოები დიდი რაოდენობით დაამზადა და გაუგზავნა აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

ქარხნის კოლექტივმა დეკემბერში გეგმის გადამეტებით დაამზადა და მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტს ვადამდე გაუგზავნა 16 კომპლექტი ჰიდრომეტრიული ტრიალა.

— უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოვიპოვოთ, მივაწოდოთ მეტი და მაღალხარისხოვანი ჰიდრომეტეოროლოგიური და აქტინომეტრიული ხელსაწყოები სახალხო მეურნეობას,— ასეთი ლოზუნგით იწყებს მუშაობას ქარხნის კოლექტივი ახალ სამეურნეო წელს.

2. ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲪᲧᲝᲛᲑᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სახელოვანი მიღწევებით შეეგებნენ ახალ წელს ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებიც თავიანთი ძირითადი ასორტიმენტის — საშახტო მოწყობილობის დამზადებასთან ერთად გასული წლის მანძილზე განსაკუთრებული ენთუზიაზმით იბრძოდნენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების შესასრულებლად.

ქარხნის კოლექტივმა 150 წყალსატუმბი გაუგზავნა დიად მშენებლობებს და ამით პირნათლად შეასრულა საპატიო დაკვეთების დავალება.

მანქანათმშენებლებმა 11 დეკემბერს დაამთავრეს წლიური გეგმა და სამეურნეო წლის დარჩენილ დღეებში სამშობლოს დამატებით მისცეს 2 მილიონამდე მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

3. ᲑᲝᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲘ

ᲑᲝᲠᲩᲝᲛᲘ. (საკ. კორ.). მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრეს 1952 წელი ბელადის სამშობლო ქალაქის — ბორის საწარმოებმა. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ბორელმა მეკონსერვეებმა. მათ წლიური გეგმა 26 დეკემბრისათვის შეასრულეს და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მრავალი ასეული ათასი ქილა კონსერვი გამოუშვეს.

ბორელი მეკონსერვეები ამაყობენ იმით, რომ მათი პროდუქცია იგზავნება ჩვენი დიადი ქვეყნის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებში. ბორული კონსერვები გაეგზავნათ კუიბიშევის, სტალინგრადის, კახოვკის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებს. კომუნიზმის დიად მშენებლობათა კოლექტივებს სეზონის დაწყებიდან სულ გაეგზავნათ 700 ათასი ქილა კონსერვი.

ᲑᲔᲓᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲙᲐᲡᲞᲘ. (საკ. კორ.). დიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ქართველმა მეცემენტეებმა პირობა დადეს, რომ წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცემდნენ 15 ათას ტონა ცემენტს. ეს პირობა განაღდებულია დიდი გადაჭარბებით.

ამ საწარმოო გამარჯვების მოპოვებისათვის მაღალნაყოფიერად იმუშავა გამოწვის საამქრომ (უფროსი ზ. ფაჩუაშვილი). საამქროს კოლექტივმა წლიური გეგმა 9 დეკემბრისათვის შეასრულა.

მბრუნავი ღუმელის მემანქანემ შ. კოტიაშვილმა წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულა და მას შემდეგ 1953 წლის ანგარიშში მუშაობს. ასეთივე მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვს მემანქანე ა. ნიპაარიშვილს.

კასპელი მეცემენტეების ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობის ტემპი, განამტკიცონ მოპოვებული მიღწევები და უფრო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვონ ახალ წელს.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ

წელიწადნახევრის განმავლობაში ორთაჭალესის მშენებლები შეუცვლელად ინარჩუნებენ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ გამარჯვებისათვის.

მაღალნაყოფიერი შრომით ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა მოწინავე კოლექტივმა მშენებლობის წლიური გეგმა 2 ნოემბრისათვის შეასრულა და მას შემდეგ 1953 წლის ანგარიშში მუშაობს. მშენებლებმა გეგმის გადამეტებით შეასრულეს 63 ათასი კუბური მეტრი მიწისა და ქლდოვანი ყამირის სამუშაოები, ჩაეწყეს 12 ათასი კუბური მეტრი ბეტონი.

ახლა მშენებელთა მთელი ძალები მიმართულია მეორე რიგის სამუშაოების შესრულებისაკენ. გამზადებულია ქვაბული მეორე და მესამე ბურჯის დამაკავშირებელი მალისა და მესამე ბურჯის აგებისათვის. აქ მშენებლებმა დეკემბრის უკანასკნელ დღეებში პირველი 200 კუბური მეტრი ბეტონი ჩაწყეს. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მეოთხე მალისა და მარჯვენა საყრდენი კედლის მიწის სამუშაოებიც.

მშენებელთა შორის ბეჯითი შრომით სახელი გაითქვეს ვ. კობერიძის, თ. ხეობაშვილის, მ. კუზმენკოს, ვ. შიუკაშვილის ბრიგადებმა, სამუშაოთა მწარმოებლებმა ვ. ახალაძემ, ვ. ბეტრიაშვილმა, ნ. ემხვარმა, პირველი უბნის უფროსმა ვ. კახაძემ და მეორე უბნის უფროსმა დ. ორჯონიკიძემ.

მშენებელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა წელს კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა, ვადამდე დაამთავრონ ძირითადი სამშენებლო სამუშაოები და დედაქალაქის მშრომელებს მისცენ ორთაჭალესის პირველი დენი.

1952 — 1953

★ ★ ★

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲗ

წელიწადში — ოთხი წლის ნორმა!

ასეთია ის ძირითადი და მთავარი შრომითი მაჩვენებელი, რომლითაც ვახდენთ მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წელს.

ამ წარმატებას მეცნიერ მუშაკებთან შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგად მივაღწიე.

თითქმის ერთნახევარჯერ გავადიდე ჩარხის ბრუნვის ხიჩქარე, რამაც საშუალება მომცა ნორმით გათვალისწინებული 4 გოგორწყვილის ნაცვლად ცვლაში 10-12 გოგორწყვილი გამომეჩარხა. პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დგომისას კი ზოგჯერ 13-14 ცალსაც ვამზადებდი.

თვლების სუფთა დამუშავების დროს წელს პირველად ვიხმარე ხალი შენადნობის — პობედიტის — ფიალისებრი საჭრისი. თუ წინათ თვითეული გოგორწყვილის გამოჩარხვას თითქმის ორ საათს ვანდომებდი, ახლა ამ საჭრისით მთელ სამუშაოს 35-40 წუთში ვამთავრებ.

ახალი წლიდან მიზნად ვისახავ ისე მოვაწყო მუშაობა, რომ თვითეული გოგორწყვილი 22 წუთში დავამზადო

ვ. ᲑᲐᲘᲨᲝᲕᲜᲐᲕᲘᲚᲘ,

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ჩქაროსანი ხარატი.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ

შესანიშნავი იყო ჩვენი დიადი სამშობლოს 1952 წელი. ამ წელს დიდმა ბელადმა სახელმძღვანელად მოგვცა გენიალური შრომა — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. ამ წელს შედგა პარტიის ისტორიული XIX ყრილობა. პარტიის XIX ყრილობამ, შეიარაღებულმა დიდი სტალინის გენიალური შრომით, დასახა ბრწყინვალე ლენინსძღვანები, რაც ჩვენი საბრძოლო პროგრამაა სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ წინსვლის გზაზე.

1953 წელი უდიდეს წვლილს შეიტანს ახალი ხუთწლედის განხორციელებაში.

ახალი წელი ახალი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენი უნივერსიტეტის მრავალათასიან კოლექტივს: სტუდენტებმა ისწავლონ უკეთ, რომ ფრიადოსანი და კარგოსანი იყოს არა 75 პროცენტი, როგორც დღეისათვის, არამედ 100 პროცენტი; პროფესორ-მასწავლებლებმა დაწერონ უფრო მაღალიდეური, მაღალხარისხოვანი, სტალინური ეპოქისათვის შესაფერი მეცნიერული შრომები და სახელმძღვანელოები, ასპირანტებმა და დოქტორანტებმა — მაღალხარისხოვანი დისერტაციები.

დე 1953 წელსაც იმრავლოს ისეთმა დღეებმა, როგორიც იყო 1952 წლის 21 დეკემბერი — სუხუმში შესანიშნავი თეატრის, თბილისში სტალინის სახელობის ულამაზესი ხიდის და ხელოვნების უმდიდრესი მუზეუმის გახსნა, იმრავლოს მთელი ჩვენი დიადი სამშობლოსა და ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულმა მიღწევებმა.

მრავალ ახალ წელს, ამხანაგებო!

ნ. ᲙᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ,

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲫᲐᲚᲐ

ჩვენმა ბრიგადამ სამი წლის განმავლობაში ზედიზედ მოიყვანა თამბაქოს სარეკორდო მოსავალი, რისთვისაც ორგზის მომენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება.

1952 წელს 17,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი თამბაქო მივიღე. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ 1953 წელს თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ საშუალოდ 30 ცენტნერი თამბაქო და ამიტ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში.

პ. ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ,

გაგრის რაიონის სოფელ ხეიფნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲛ�პᲡ

იმ დღიდან, რაც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის სახელი მიეკუთვნა, მეფოლადეებმა განსაკუთრებით უდიდესი ენერგიით გავაჩაღეთ ბრძოლა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის.

მეფოლადეთა ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 1952 წლის საწარმოო დავალება 10 დღით ადრე შეასრულა, განახორციელა 100-მდე ჩქაროსნული დნობა და მარტო ერთ კვირაში გეგმის გადამეტებით 1.200 ტონა ფოლადი გამოადნო.

ახალ სამეურნეო წელს კიდევ უფრო გავაძლიერებ შრომის ტემპს. ჩემს ბრიგადასთან ერთად ვალდებულებას ვკისრულობ 1953 წლის საგეგმო დავალება ერთი თვით ადრე გავანაღდო, წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მივცე 3.000 ტონა ფოლადი, დნობათა 80 პროცენტი ჩქაროსნული მეთოდით განვახორციელო, ღუმელის გამძლეობა ავიყვანო სულ მცირე 180 დნობამდე და მნიშვნელოვნად გავაუმჯობესო პროდუქციის ხარისხი.

შ. ᲙᲣᲮᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲔᲠᲡ�პᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის სამშენებლო ობიექტის კოლექტივებს შორის სიონმშენის კოლექტივი (მშენებლობის უფროსი გ. წულეიხირი, მთავარი ინჟინერი ვ. ჩუბინიძე) ერთ-ერთი მოწინავეა.

ჯერ კიდევ 1952 წლის 25 ნოემბრისათვის გავანაღდეთ წლიური დავალება. პირველი იანვრისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 115 პროცენტით შევასრულეთ. დავზოგეთ 760.000 მანეთის ძვირფასი საშენი მასალები, მნიშვნელოვნად შევამცირეთ მშენებლობის თვითღირებულება, მინიმუმამდე დავიყვანეთ წუნით გამოწვეული დანაკარგები, გავაუმჯობესეთ სამუშაოთა ხარისხი.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებაში თავი გამოიჩინეს სამოქალაქო, კაშხალისა და გვირაბის სამშენებლო უბნების კოლექტივებმა. უნარიანად ხელმძღვანელობდნენ სამშენებლო ობიექტების მუშაობას ახალგაზრდა ინჟინერები ვ. კასრაძე, გ. კუპუხიძე, ნ. ჩხარტიშვილი და მ. ვახრუშევი. სტახანოვური შრომით დაწინაურდნენ სტალინური პრემიის ლაურეატის ი. ობოლაძის, ი. ზიაბკინის, შ. მედელაურის, დ. მიქელოვის, დ. ლაფერაშვილის და დ. ოთარაშვილის ბრიგადები.

სიონის წყალსაცავის მშენებლობის კოლექტივის წინაშე უფრო სერიოზული ამოცანებია დასმული 1953 წელს. შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდება სამუშაოთა მოცულობა, დამთავრდება წყალის გადასაგდები გვირაბისა და წყალის ჩამკრობის მშენებლობა, გაჩაღდება მუშაობა კაშხალის ასაგებად, მნიშვნელოვნად გაფართოვდება ვაზიანის ბაზის სამუშაოები, დამთავრდება საშუალო სკოლისა და კლუბის შენობის, ორი ავტომაზისა და თითო 28-ოთახიანი 10 სახლის აგება.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის გენიალური ნაწარმოებებით შთაგონებული სიონის წყალსაცავის მშენებლები ყველა ღონეს იხმარენ მეხუთე ხუთწლიანი გეგმით მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

დ. ᲛᲐᲩᲘᲫᲔ,

სიონმშენის პარტბიუროს მდივანი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

გასული წელი ქართველმა საბჭოთა კომპოზიტორებმა მთელი რიგი შემოქმედებითი მიღწევით დაამთავრეს, ეს ცხადყო ამას წინათ ჩატარებულმა დათვალიერებამ.

ჩვენი მუსიკალური ფრონტის ჩამორჩენილ უბნად ჯერ კიდევ რჩება თანამედროვე საბჭოთა ოპერის უქონლობა. ამ უანრში აქამდე შექმნილი ნაწარმოებნი სავსებით ვერ უპასუხებენ მასების გაზრდილ მოთხოვნილებას.

მომავალში, საბჭოთა კომპოზიტორებმა, მათ შორის მეც, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ დავძლიოთ ეს ჩამორჩენა და მწერლებთან მჭიდრო თანამეგობრობით შევქმნათ ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი მონუმენტური საოპერო ნაწარმოებნი.

კომპოზიტორი **ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲔ,**

სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ 24 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჩაის კრეფის დავალებას ყოველ წელს ორმაგად და სამმაგად ვასრულებ. 1952 წელს ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე მოვკრიფე და სახელმწიფოს ჩავაბარე 15.630 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ფოთოლი.

მიღწეულით როდი ვამაყოფილდები.

ახალი წლიდან მეტი ენერგიით ვიმუშავებ. ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე მივიღებ სულ მცირე 24 ტონა ფოთოლს. ამასთან გამოცდილების გაზიარებით დავეხმარები ჩაის ახალგაზრდა მკრეფავებს.

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲑᲣᲚᲘᲡᲙᲘᲠᲘᲐ,

გალის რაიონის ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ომისშემდგომი ხუთწლიანი თავისი გეგმა ჩვენმა ბრიგადამ ოთხ წელიწადში შეასრულა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 90 ათასი მეტრი ქსოვილი.

ამჟამად პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და ამხანაგ სტალინის შთამაგონებელი სიტყვით აღფრთოვანებული თვითეული ფეიქარი თავდადებით შრომობს ახალ-ახალ გამარჯვებათა მოპოვებისათვის.

გასულ წელს ბრიგადამ სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 5 ათასამდე მეტრი ძვირფასი ქსოვილი. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გავადიდეთ 10 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 5 პროცენტით.

— ახალ წელს უფრო მეტი ნაწარმოო გამარჯვებებისათვის! — ამ ლოზუნგით იმუშავებს ჩვენი ბრიგადა.

Ლ. ᲒᲐᲒᲣᲜᲘᲐ,

ქუთაისის აბრეშუმკომბინატის № 1 საქსოვი საამქროს მე-9 ბრიგადის ოსტატის თანაშემწე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝᲓ.

ბრწყინვალე, დიდებული იყო ამ ახალწლის წინაღამეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი, სტალინური ეპოქის ცხოველმყოფელი ძალით გაახალგაზრდავებული თბილისი.

მის განიერ მოხმაურე ქუჩებში და მოედნებზე, სადაც ელექტროშუქურებმა ადრევე განდევნეს დეკემბრის უკანასკნელი, გამოსათხოვარი საღამოს ბინდბუნდი, არაჩვეულებრივად გაცხოველდა მოძრაობა, ხალხის ფუსფუსი. ვინ ნაყიდებით მიიჩქაროდა, ვინ მოტოვებული საყიდლებისათვის, მაღაზიებში ნოქრები ვერ აუდიოდნენ მომხმარებლებს, საპარიკმახეროებში ოსტატები — კლიენტებს, ტროლეიბუსები და ავტობუსები — მგზავრებს. თითქოს ტრამვაის მატარებლებიც უფრო სწრაფად მიაქროლებდნენ ხალხით სავსე ვაგონებს, თითქოს უფრო ნაზად ციმციმებდნენ ქუჩებში მარგალიტის მძივებივით ასხმული უთვალავი ნათურები და ცისარტყელას ხალისიანი ფერებით ენასკვებოდნენ ერთმანეთს ვიტრინებში მაღლა, დაბლა, აქეთ, იქით ნეონის სხივები...

ბევრად დაასწრეს ახალი წლის მოახლოებას ორთაჭალელმა მშენებლებმა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა ვადამდე ბევრად ადრე შეასრულეს და ამ საღამოს, სანამ ახალი წლის დაწყების ქამი დაჭკრავდა, იმას ანგარიშობდნენ, თუ რა გაუკეთეს სამშობლოს საახალწლო საჩუქრად გეგმის გადამეტებით. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაშიც იმიტომ მინელდა მანქანა-დანადგართა გრიალი, რომ მუშები, ინჟინერები, ტექნიკოსები გართული იყვნენ განვლილი წლის მანძილზე თავიანთი შრომითი გამარჯვებების აღრიცხვით, მომავალი სამეურნეო წლის განმავლობაში ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოსაპოვებლად საჭირო მზადებით. დროს გაუსწრეს, წლიური საწარმოო გეგმები ვადამდე შეასრულეს მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

სიამაყით აჯამებდა თბილისი განვლილი წლის შედეგებს.

ბევრი რამ ახალი, საშვილიშვილო შესძინა განვლილმა წელმა თბილისს: ამას ადასტურებს უკანასკნელ დროს ქალაქის გამშვენიერებული ცენტრალური მაგისტრალები, ამას მოწმობს ქალაქის დამამშვენებელი, სტალინის სახელობის ახალი ხიდი მტკვარზე. ამის საბუთია მთელ რიგ უბნებში აშადრევნებული ბულაჩაურის წყალი, ათობით მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დამთავრება, პარკების, ბაღების, ტყეების გაშენება.

შარშან წლის მეორე ნახევარში გაძლიერეს ახალი სანაპირო ქუჩებისათვის საყრდენი კედლების მშენებლობა მტკვრის კალაპოტის კეთილმოსაწყობად და მცირე ნაოსნობისათვის გასამზადებლად, ათეული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ქალაქის სხვადასხვა უბანში და სხვ.

მომხიბლავი, უფრო ნათელი პერსპექტივები ისახება თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გზაზე. არ გაივლის დიდი დრო და უმოკლესი და უმშვენიერესი სანაპირო მაგისტრალით დაიძვრიან ავტოტრანსპორტის ნაკადები რკინიგზის მთავარი სადგურიდან ორთაჭალისა და ხავთლუღისაკენ, სადგურის მოედნიდან თბილისის „ზღვის“ ნაპირებამდე ივლიან ავტობუსები და შემდეგ ტროლეიბუსებიც, საბურთალო რკალური მაგისტრალით დაუკავშირდება დიდუბეს, ვაკეს და ქალაქის მთელ დანარჩენ ნაწილს, მტკვრის დონე ამაღლდება და სამდინარო ტრამვაით ნოსნობა დაწესდება დედაქალაქის ცენტრალურ უბნებს შორის, ლენინ — სტალინის პარტიის სიბრძნით და ხალხის მარჯვენით გაკეთილშობილებული დიდი ძოედნები, ახალი ფართო ქუჩები, სახლები და სასახლეები დაამშვენებენ ჩვენს მშობლიურ დედაქალაქ თბილისს...

...საათის ისარი განაგრძობს 1952 წლის უკანასკნელი წუთების თვლას. იწყება ქამთა უსასრულობის ის მცირე მონაკვეთი, რომელსაც საბჭოთა ხალხმა შრომითი სათვალავით მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წელიწადი უწოდა — 1953 წელი.

შუქი აანთეს ფეერიულად მორთულ ნაძვისხეებზე, საახალწლო სუფრის ირგვლივ შემომსხდართა მხიარული ხმაური უკვე მოეფინა ბინებიდან ქუჩებს და ბროლის ჭიქებში აფერადდა ქართული ვაზის დიდება.

მის სადღეგრძელოდ, მის სადიდებლად, ვინც ხალხს შეუქმნა, თავისუფალი შემოქმედებითი სიხარულით აღსავსე ცხოვრება ასწიეს ახალი წლის დასაბედნიერებელი პირველი სასმისები მშრომელებმა:

— მრავალ და მრავალ წელს იცოცხლოს ჩვენმა მშობლიურმა სტალინმა!

დ. ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ.

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სასახელოდ ოქტომბერ განვლილ წელს ბევრს მშრომელებმა. დღეს კი მსჯელობენ, ჯამებენ გასული წლის შედეგებს და პირობას დებენ უკეთესად მუშაონ ახალ წელიწადში.

ყველგან, ქალაქის ყველა უბანში ზეიმი და ლხინია. ყველგან ისმის სიმღერები ჩვენი დიადი სამშობლოს უძლეველობაზე, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის სადიდებლად. აქ, ბედნიერების სამშობლოში, გუშინ მრავალი ექსკურსანტი ჩამოვიდა სხვადასხვა კუთხიდან. მათ სურდათ ახალი წელი გაეთენებინათ იმ ქალაქში, სადაც დაიბადა კაცობრიობის გენიოსი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მეიდროშე დიდი სტალინი.

...აქ საზეიმო ელფერი აქვს ყველაფერს. გორის ციხიდან მთელ შუა ქართლს დაჰქოქთებს ელექტრობით გაჩირაღდნებული ხუთქიმიანი ვარსკვლავი. საზეიმოდ გამოიყურება სტალინის მოედანი, თვითეული ქუჩა, უბანი...

მხიარულებაა პარკებში, კულტურის სახლებში, კლუბებსა და თეატრებში.

ზრუნავენ ნორჩი თაობისათვის. წინა დღეებში მრავალი ათასი მანეთის საჩუქარი გაიყიდა მაღაზიებში. მოეწყო საქალაქო ნაძვისხე, რომელიც მრავალფეროვანი სამკაულებით არის დამშვენებული. გორის რკინიგზის კლუბში რკინიგზელთა ბავშვებისათვის მოწყობილია საუცხოო ნაძვისხე. არდადეგების კულტურულ დასვენებასა და გართობაში გაატარებენ რკინიგზელთა ბედნიერი ბავშვები.

სკოლამდელთა აღზრდის დაწესებულებებმაც მოაწყეს პატარებისათვის ათასფრად შემკული საახალწლო ნაძვისხეები.

წელს თავითანვე შვილებისათვის ასობით საახალწლო ნაძვისხე მოაწყეს კოლმეურნეებმაც. გორის უნივერსალურმა მაღაზიამ ნაძვისხის შესამკობად მრავალი ათასი მანეთის სათამაშოები მიჰყიდა ხიდისთავის, ტინისხიდის, ხელოუბნის, ბერბუკის, მეჯრისხევის და სხვა სოფლების კოლმეურნეებს.

ზეიმობენ ბედნიერების სამშობლოს მშრომელები...

ᲝᲗᲮᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

27-28 დეკემბერს თბილისის ოთხმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა თავისი ახალი სპექტაკლები.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა აჩვენა ახალი დადგმა ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერისა „შეფის საცოლე“, რომელიც დიდი ხანია არ დადგმულა თბილისში. სპექტაკლის ავტორები არიან დირიჟორი ზ. ხუროძე და რეჟისორი გ. გელოვანი. მთავარ როლებს ასრულებენ თეატრის კოლექტივის ახალგაზრდა სოლისტები ლეილა გიორგაძე (ლიუბაშა), ანგელინა მიქაბერიძე (მართა), ალექსანდრე პირკუსი (სობაკინი), ზურაბ ანჯაფარიძე (ლიკოვი).

რუსთაველის სახელობის თეატრში დიდი წარმატება ჰქონდა პ. მალიარევსკის პიესის „ქარიშხლის წინ“ პირველ სპექტაკლებს. ამ დადგმის რეჟისორია მ. თუმანიშვილი, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, კომპოზიტორი ვ. გოკიელი. მსახიობთა კოლექტივმა შექმნა გმირული, დიდი იდეური შინაარსის სპექტაკლი.

გრიბოედოვის სახელობის თეატრმა დადგა ფ. შილერის ტრაგედია „ვერაგობა და სიყვარული“ (რეჟისორი გ. ღვინიაშვილი, მხატვარი ი. შტენბერგი, კომპოზიტორი ი. ბეიერი).

სომხური დრამის თეატრში შედგა სანდრო შაწშიაშვილის პიესის „ხევისბერი გოჩას“ პრემიერა. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა დ. ანთაძემ, გააფორმა მ. კირაკოსიანმა, მუსიკა კ. მელვინეთუხუცესისა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

რუსთაველის სახელობის თეატრში ამ დღეებში მოეწყო ამ თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა და საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა შეხვედრა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძეს, რომელმაც აღნიშნა ამ შეხვედრის მნიშვნელობა.

მხატვრულ ნაწილში თეატრის მსახიობებმა დადგეს სპექტაკლი „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲗᲗᲐᲜ.

ᲝᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ — ᲝᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

I.

საბჭოთა ხალხები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა უბანზე მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდნენ ახალ — 1953 წელს. გასული წელი — საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 35-ე წელიწადი ჩვენი ხალხის, კომუნიზმის მშენებელი გმირი ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა და ახალ მიღწევათა წელი იყო.

1952 წელს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხალხებისა და მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ წელს შეიკრიბა ლენინ — სტალინის სახელოვანი პარტიის XIX ყრილობა, რომელმაც საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა და ნათელი პერსპექტივა დაუსახა. ყრილობის წინ გამოქვეყნდა ამხანაგ სტალინის გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. ამ შრომაში, რომელიც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამას წარმოადგენს, ყოველმხრივ გარკვეულია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მეცნიერული საფუძვლები, დასახულია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის სიტყვას, წარმოთქმულს XIX ყრილობის დასკვნითს სხდომაზე. დიდი სტალინის აღმაფრთოვანებელი სიტყვები საბჭოთა კავშირზე და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე, როგორც მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელ ბრიგადებზე“, თავისუფალ ხალხთა მთელი ძალების მობილიზაციას ახდენს ნათელი და საესიხარულო ცხოვრების მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად. მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებს აღაფრთოვანებს ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვები იმის შესახებ, რომ „...ყველა საფუძველი არსებობს გვქონდეს იმედი მოძმე პარტიების წარმატებათა და გამარჯვებისა კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში“. ამ ბრძნულ სტალინურ სიტყვებში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლები პოულობენ ახალ ძალებსა და ენერგიას თავიანთი სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

პარტიის XIX ყრილობამ დაამტკიცა დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა მთელი მსოფლიოს წინაშე ერთხელ კიდევ ცხადყოფს სოციალიზმის დიდ სასიცოცხლო ძალას, სოციალისტური სისტემის უდიდეს შესაძლებლობებს და მის ძირეულ უპირატესობებს კაპიტალისტური სისტემის წინაშე. „ეს ხუთწლიანი გეგმა, — ნათქვამია პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში, — წარმოადგენს მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმას. იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას და ყველა იმ ქვეყანასთან ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას, რომელთაც სურთ განავითარონ ვაჭრობა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხელსაყრელობის საწყისებზე“.

უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ადამიანებმა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში. გაიხსნა კომუნიზმის მშენებლობათა პირმშო — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი.

ვოლგა-დონის ურთულესი პრობლემების გადაჭრა საბჭოთა ხალხების დიდი შეთანხმებითი შრომის გამარჯვებაა, სოციალისტური ინდუსტრიის, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე წარმატებაა. სამახსოვარ წელიწადში აშენდა ვოლგა-დონის სანაოსნო არხი, რომლის სიგრძე 101 კილომეტრს უდრის და რომელსაც აქვს 13 უნიკალური ავტომატიზებული რაბი, სამი მძლავრი სატუმბავი სადგური, 13 კაშხალი და ჯებირი, ნავმისადგომები, ხიდები და მრავალი სხვა ურთულესი ნაგებობა... ვოლგა-დონზე შესრულებულია 152 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მიწის სამუშაო, 3 მილიონ კუბურ მეტრამდე რკინაბეტონისა და ბეტონის სამუშაო, დამონტაჟებულია 45 ათას ტონამდე ლითონკონსტრუქცია და მექანიზმები. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი ხუთი ზღვის ნავსადგური გახდა. ასრულდა რუსი ხალხის საუკუნო ოცნება: შეერთდა ვოლგა და დონი, რაც საბჭოთა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა. —

„ზეიმის ხმები, დიდების ხმები
ავსებენ უხვად ჩვენს გულს და გრძნობას...
შეერთდნენ ზღვები, შეერთდნენ ზღვები,—
დიდება ზღვათა სტალინურ ძმობას“.

გასულ წელს წარმატებით გრძელდებოდა კომუნიზმის დიად ნაგებობათა მშენებლობა ვოლგასა და დნეპრზე, დონსა და ამუ-დარიაზე. ორ წელიწადზე ცოტა მეტი დრო გავიდა, რაც მდინარე ვოლგაზე სტალინგრადის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო. უკვე ათობით კვადრატულ კილომეტრზე გადაიტომა სამშენებლო მოედანი, ვოლგასგაღმა მხარის ველზე აიგო სოციალისტური ქალაქის პირველი უბნები, გაყვანილია ათობით კილომეტრი რკინიგზა და საავტომობილო გზები... ორი წლის და რამდენიმე თვის განმავლობაში უდიდესი ცვლილებები მოხდა მდინარე დნეპრის ნაპირებზე: აიგო ახალი სოციალისტური ქალაქი — ნოვაია კახოვკა, შესრულებულია რამდენიმე მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები... საბჭოთა ხალხები თავდადებულად შრომობდნენ ახალი სტალინური ხუთწლედით დასახული დიდი ამოცანების ღირსეულად განაღდებისათვის. 1952 წელი საბჭოთა ეკონომიკის, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის წელი იყო. 1952 წლის მესამე კვარტალში საბჭოთა კავშირში სამრეწველო წარმოების დონე 11 პროცენტით აღემატებოდა სამრეწველო წარმოების დონეს 1951 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. გასულ წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა 8 მილიარდი ფუთი შეადგინა. ამასთანავე ხორბლის საერთო მოსავალი, 1940 წელთან შედარებით, 48 პროცენტით გადიდდა. ამრიგად, მარცვლეულის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში გადაჭრილია წარმატებით, გადაჭრილია საბოლოოდ და სამუდამოდ. ახალი ხუთწლიანი გეგმით დაწესებულია სამრეწველო წარმოების დონის ამაღლება დაახლოებით 70 პროცენტით, მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდება 40-50 პროცენტით, მათ შორის ხორბლისა 55-65 პროცენტით, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გადიდება დაახლოებით 70 პროცენტით, სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლისა — სულ ცოტა 60 პროცენტით...

საბჭოთა კავშირში დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც დროს გაუსწრეს. ასეულ ათასობით სტახანოველმა დიდი წარმატებით დაამთავრა ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა. ცნობილმა ჩქაროსანმა ხარატმა პ. ბიკოვმა გასული წელი 1991 წლის ანგარიშში მუშაობით დაამთავრა.

გასულმა წელმა სოციალიზმისა და დემოკრატიის უძლეველ ბანაკს ახალი წარმატებები მოუტანა. 1952 წლის მესამე კვარტალში, 1951 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, სამრეწველო წარმოება გაიზარდა პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში 21 პროცენტით, უნგრეთში — 24 პროცენტით და უფრო მეტად, რუმინეთში — 25 პროცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტალურგთა ქალაქში

★

1. მეფოლადეთა მოწინავე ბრიგადები

1952 წლის საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში ყველას გაუსწრო მეფოლადეთა ბრიგადამ, რომელსაც გ. ბერეკაშვილი ხელმძღვანელობს. წლიური დავალება ბრიგადამ ორი კვირით ადრე შეასრულა, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 1.600 ტონაზე მეტი ფოლადი და განახორციელა 120 ჩქაროსნული დნობა.

წლიური გეგმის გადამეტებით 1.200-დან 1.500 ტონამდე ფოლადი გამოადნეს აგრეთვე ცნობილი მეფოლადეების შ. კუხალეიშვილის, ა. ფანცულაიას, ვ. სამცოვისა და ი. მუხინის ბრიგადებმა.

ახალი წლის წინადღეებში მეფოლადე ა. ფანცულაიამ ახალი ღუმელიდან პირველი ნადნობი საათნახევრით შემჭიდროებულ ვადაში მიიღო.

წლის მანძილზე მარტენის საამქროში 1.020 ჩქაროსნული დნობა განახორციელეს.

2. შესრულებულია კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთები

მილსაგლინავ საამქროში ახალი სამეურნეო წლის წინადღეები მორიგი შრომითი წარმატებებით აღინიშნა, ქართველმა მგლიხავებმა წლის უკანასკნელ 3-4 თვეში აითვისეს 7 სხვადასხვა პროფილის უნაწიბურო მთლიანნაგლინი ფოლადის მილების წარმოება.

საამქროს კოლექტივმა ვადაზე ერთი კვირით ადრე მთლიანად გაანაღდა გმირი ქალაქის — სტალინგრადის დაკვეთები, ხოლო ვადაზე თითქმის ერთი თვით ადრე შეასრულა ქ. კუიბიშევის მშენებელთა დაკვეთა. ვადამდე შესრულებული აგრეთვე მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის თუმაწიანის მეტალურგიული საწარმოს დაკვეთები.

წარმატებით სრულდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაკვეთებიც. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას უკვე გაეგზავნა ქართული ფოლადის მაღალხარისხოვანი მილებით დატვირთული რამდენიმე ვაგონი.

ამ დაკვეთების შესრულებისათვის ბრძოლაში დეკემბრის ბოლო რიცხვებში განსაკუთრებით დაწინაურდა ახალგაზრდა სპეციალისტის ი. დიმენდის ცვლა.

3. საცხოვრებელი სახლები ახალი წლის ანგარიშში

საოქტომბრო დღესასწაულის შემდეგ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს კოლექტივი საცხოვრებელ სახლებს 1953 წლის ანგარიშში აშენებს, მაღალნაყოფიერი და შეთანხმებული მუშაობით ბინათმშენებლებმა დეკემბრის ბოლო რიცხვებში ქართველ მეტალურგებს 1952 წლის გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადასცეს 3 კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო საცხოვრებელი ფართობი 2 ათას კვადრატულ მეტრს აღწევს.

დგება ახალი წელი, რომელიც ახალ ამოცანებს უსახავს ქართველ მეტალურგებს.

ჰიმნი მშვიდობას

○

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე

საქართველოს სახალხო პოეტი

○

შეხედე: ხარობს მხარე ბრწყინვალე
ამ ახალწლის დღეს,
მისი წარსული, აწმყო და ხვალე
აგებს, მკის და თესს.
იწყება ახალ დღეთა ფაზისი
უფრო ფაქიზი,
უფრო კარგი და ულამაზესი...
სწრაფია მხარე მშენებლობაში,
თვალუწვდენელი.
ვით ჩქარი შედის მდინარე ზღვაში,
ისე — ეს წელი.

ოცდათხუთმეტმა ახალმა წელმა
განვლო მას შემდეგ,
რაც ბოროტებას ოქტომბერმა
შესძახა: „შესდეგ!“
ჩვენი ხალხების ტანჯვა დამთავრდა:
იძრა ქვეყანა
და მის გულიდან ამოთავთავდა,
ოქტომბრის ხანა.
გრძნობა ყოველი, რაც ხალხს ებადა,
შეირხა, რადგან
ჯერ არ ნახულთა გამარჯვებათა
ეპოქა დადგა.
დიდებულია ოქტომბრის მადლი,
სხივთა ნათება,
მთელი მსოფლიო ხედავს თვალნათლივ
ამ აღტაცებას.
გვახსოვდეს მარად ის ხანა მძლავრი
ბრძოლის ხმა მწყობრის,
წარსული, აწმყო და მომავალი
დიდი ოქტომბრის.

მარად და მარად შენ ისევ-ისევ
დიდებითა სძლევ,
ჩვენი მეოცე საუკუნის მზევ, —
საყვარელო მზევ!
არე-მიდამოს სინათლეში ხვევ
და ვარდებით რთავ...
გვინათე, ჩვენო საყვარელო მზევ,
საყვარელო ცავ!
ჰიმნი მომავალს! ვაშუქებთ ხევებს,
თუ გაგვყავს არხი,
ახალს და ახალს ითვლის მიღწევებს,
საბჭოთა ხალხი.

ოდეს შეიჭრა ის დიდი დილა
სიელვარეში,
ისე გზა წინსვლის არსად გაშლილა,
ვით ჩვენს მხარეში.
ჩვენი სიმართლით მოგრიალე ხმა
კიდით-კიდობას
უძლეველია, მან ხმამაღლა თქვა:
იყოს მშვიდობა!
შრომამ იმ დღიდან მოიტანია
ქვეშ ძველი თალხი,
მშვიდობისაკენ დიდი ხანია
დაიძრა ხალხი!
მშვიდობა! — ესმის ზღვას და მის ნაპირს
ქუხილი ტალღის,
მშვიდობა! — ისმის ომის პირდაპირ
გრიალი ხალხის.
და მსოფლიოში გაისმა ხალხთა
ხმა თანაგრძნობის,
ჩვენში პირველი როს აფრიალდა
დროშა მშვიდობის!

რაც მსოფლიოში არის სიდინჯე
და ბეჯითობა,
რაც შემოქმედი ელვარებს ნიჭი —
შენით, მშვიდობა!
შენთვის შვიდფერთა დგას ცისარტყელათ
მაღალი ყალხი,
შენ უკვდავება გქვია სახელად
და გიცავს ხალხი.
შენ გიცავს მედგარ მეომართ რიცხვის
მრავლობითობა!
ჰეშმარიტების გზით წინ მიგვიძღვი
შრომით, მშვიდობავ!

გადალახა რა ყველა საზღვარი,
მანამდე მყარი,
გუგუნებს ზარი, გუგუნებს ზარი,
მშვიდობიან ზარი!
და არა მარტო დღეისის ხელი,
მრავალთმრავალი
ღღევანდელში ჩანს დღე ხვალინდელი,
გზა წინ სავალი!
და აქაც, როგორც მიღწევა დიდი
და დიდი წრთობა,
შემოქმედების ჩანს შრომა მშვიდი
და ჩანს მშვიდობა.

გადამთიელი მწყურვალი სისხლის
ებრძვის კორეას.
კორეა იწვის... კვლავ მედგრად იბრძვის —
ჭიდილის დღეა.
არის სისხლის ღვრა და არის ფერფლი
და არის ნისლი...
დე, სისხლის მწოველს ვაზღვევინოთ
სისხლის წილ სისხლი!..
აი ადგილი, სად ღრუბლებს იხვევ,
მაგრამ მაინც სძლევ,
ჩვენი დღეების დიადო მზევ,
საყვარელო მზევ!

რა მკრთალი შუქით ანათებს მთვარე
მაროკოს, ტუნისს.
შენ დგეხარ სხივით ელვარე მხარევ,
მაო ძე-დუნის.
ახალთ-ახალი ფერი რომ მოდის,
ხატაეთს ხატავს,
და ღორძინდება ქვეყანა, ოდეს
მას ხალხი მართავს.
მაგრამ ურჩხული არ ისვენებს, —
ხშირი ბაზებით
შენ გემუქრება გულბოროტი
გაკაპასებით.

და, ჰა, ბაზების ტბები ამგვარი
ჯაჭვით და ჯავშნით
ლამობს მოაწყდეს ვით ნიაღვარი
საბჭოთა კავშირს. —
ჩრდილოეთიდან სკანდინავიის
ქვეყნების რიგით,
თუ არ სწყურია კაცთა სიავე,
რად ღელავს იგი?
დასავლეთიდან კიდევ დასავლეთ
ევროპის მხარეთ —
„დახმარებითა“ და „რჩევა-სწავლით“
რად იწვევს ცხარედ?
ურჩხული დრტვინავს... კვლავ ჩვენზე მოდის?
და ისევ ურჩობს?
შემოემსხვრევა ის ხალხთა ძმობის
უძლეველ ბურჯებს!
დგას საბჭოეთი, ვით შუქური
ცად ატანილი, —
და ხალხთა ძმობის მედროშეა
დიდი სტალინი!

რომ ჩვენ აქ ვშრომობთ, რომ ვანთებთ ხევებს,
თუ გაგვყავს არხი,
ახალს და ახალს ითვლის მიღწევებს
საბჭოთა ხალხი!
ოცდათხუთმეტმა ახალმა წელმა
განვლო მას შემდეგ,
რაც ბოროტებას ოქტომბერმა
შესძახა „შესდეგ!“
რომ კომუნიზმში გადამსვლელ ტომებს
სწყურისთ მშვიდობა,
რომ დროა, დროა შეირყეს ომის
უამიდობა,
რომ კიდევ მაღლა მიჰყავდეს დრო ჩვენს
ლელოს გატანილს,
ვაშა მშვიდობის პირველ მედროშეს!

დიდება სტალინს!

1952 — 1953

★ ★ ★

ახდენილი ნატვრა

შარშან შირაქში პურის დიდი მოსავალი იყო. კალოობა პირდაპირ დღესასწაულს ჰგავდა, მეტადრე ღამე, როდესაც გაჩირაღდნებული კომბაინები ზღაპრულ ხომალდებივით დაცურავდნენ თვალუწვდენელ ყანებში.

ალბათ ამ ამაღელვებელმა სურათმა გაახსენა მოხუც ბრიგადირს ერთი ძველი ამბავი.

— მაშინ შირაქის დიდი ნაწილი გაუტეხავი უამირი იყო, — მითხრა მან, — ამოდენა ველზე პური მხოლოდ აქა-იქ ეთესა! ჩვენი ღარიბი სოფელი გაზაფხულზე ხუთიოდე გუთნულს ძლივს შეაბამდა. რამდენი უნდა მოგვეხნა! თაგვი კუდს ვერ მოაბრუნებდა, ისეთი პატარა ყანები გვქონდა... ერთხელ, მახსოვს, ღამის მეხრეები ცეცხლის პირას ვისხედით და ერთმანეთს ჭირვარამს ვუზიარებდით.

„ნეტავ ერთი ნატვრის თვალი მაპოვნინაო!“ — ამოიოხრა ერთმა.

„რას ინატრებდი!“ — შეეკითხეთ აქეთ-იქიდან.

„რასა და... იმდენი ხარ-კამეჩი მოგვცა, რომ მთელი ეს შირაქი მოგვახნევინა და დაგვათესინაო!“.

თუ როგორ აუხრულა ხალხს ეს ნატვრა კომუნისტურმა პარტიამ და ამ მეხრეებს, გუთნიდედებს, მომკელებს მრავალი ათასი ტრაქტორი და კომბაინი მისცა,

თუ როგორ იბრძვის მადლიერი კოლმეურნე გლეხობა დიდი სტალინის დავალების განსახორციელებლად, — საქართველოს ბედლებში იმდენი ხორბალი ჩაიყაროს, რომ რესპუბლიკას წლიდან წლამდე გაჰყვეს, —

და ამ სასახელო შრომაში როგორი ლამაზი და მშვენიერი ხდება საბჭოთა ადამიანი, როგორ ებრძვის იგი ყოველივე ძველს, დრამოჰმუოლს, ჩვენი ცხოვრების კუთხე-კუნჭულებში ჩარჩენილ ხორცმეტებს, —

აი ეს არის ჩემი ახალი რომანის „ნატვრის თვალის“ თემა.

რომანის პირველი ნაწილი მზად მიქნება ამ ზაფხულს.

კონსტანტინე ლოლრთქიფანიძე,
მწერალი.

ჰექტარზე 110 ცენტნერი ყურძენი!

ბრიგადას, რომელსაც ვხელმძღვანელობ, მოსავლელად მიჩენილი აქვს 25,2 ჰექტარი ვენახი. 1952 წელს თვითეულ ჰექტარზე 93 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 55 ცენტნერისა.

გადაწყვეტილი გვაქვს 1953 წელს თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ სულ მცირე 110 ცენტნერი ყურძენი.

გიორგი ალადაშვილი,
წითელწყაროს რაიონის არბოშიკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

მეტი თანამედროვე პიესები

გასული წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩემს შემოქმედებითს ცხოვრებაში იყო დიდი ილიას უკვდავი გმირის — ოთარაანთ ქვრივის სცენაზე წარმოსახვა. უდიდესი მდელვარებით და სახოებით ვმუშაობდი ქართველი ხალხისათვის ესოდენ საყვარელი გმირის სახის შესაქმნელად.

მე მუდამ მიტაცებდა დიდი გრძნობებისა და ემოციების გმირები. ამიტომ განსაკუთრებული ინტერესით ვმუშაობ ახლა შექსპირის შესანიშნავი ტრაგედიის „მაკბეტის“ ერთ-ერთი მთავარი გმირის ლედი მაკბეტის განსახიერებაზე. ამ სპექტაკლს ჩვენი თეატრი ახალ, 1953 წელს უჩვენებს მაყურებელს.

მაგრამ ჩემს ნამდვილ ოცნებას წარმოადგენს თანამედროვე საბჭოთა ქალის სცენიური სახის შექმნა. ქართველი დრამატურგები დიდ ვალში არიან ჩვენი, ქართველი მსახიობი ქალების წინაშე. მათ ჯერ არ შეუქმნიათ თანამედროვე მოწინავე ქალის არც ერთი სრულფასოვანი მხატვრული სახე. ამას კი მოვითხოვთ ჩვენ, მსახიობები, ამას მოელიან ჩვენგან საბჭოთა მაყურებლები.

მეტი მაღალმხატვრული თანამედროვე პიესები ახალ, 1953 წელს!

თამარ ჭავჭავაძე,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

კეთილშობილური მოვალეობა

მასწავლებლის საპატიო მოვალეობაა მოსწავლეთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

ისევე, როგორც მთელი ჩვენი ხალხი, განათლების მუშაკებიც მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა სრულყოფილად გამოვიყენოთ სახალხო განათლებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, შშობლიური სტალინის შეუნელებელი ზრუნვით შექმნილი პირობები და ძალ-ღონე არ დავიშუროთ კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა ახალი თაობის აღზრდისათვის.

მარიამ თაბაგარიძე,
თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

საქართველოს საკუთარი მარცვლეულით უზრუნველყოფისათვის

დიდმა სტალინმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს ამოცანად დაგვისახა უახლოეს წლებში საქართველო უზრუნველვყოთ საკუთარი მარცვლეულით. ეს საქართველოს სსრ სახელმწიფო სასელექციო სადგურის მუშაკებს ბევრ რამეს ავალებს.

უკანასკნელ პერიოდში მიღებულია ხორბლის ახალი ჯიშები „კახი-8“ და „შრომა-7“, რომლებიც დონის პურთან შედარებით კახეთსა და ქართლში ჰექტარზე 5-14 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევიან. ახლახან გამოყვანილია ხორბლის 5 უხვმოსავლიანი ჯიში, რომლებსაც არ ახასიათებთ ჩაწოლა, არ ავადდებიან და კარგადაც ილეწებიან. ასეთია „გამარჯვება“ (ჰექტარზე 42,6 ცენტნერი მოსავალი მოგვცა), „ჰიბრიდული“, „მცხეთური“, „ნარეკვავი“ და სხვ. ეს ჯიშები გამოსაცდელად უკვე დათესილია რესპუბლიკის 17 რაიონში.

წელს საბჭოთა ხელექციონერები კიდევ უფრო მეტი მონდომებით იმუშავებენ ხორბლის ძველი ჯიშების გაუმჯობესების და ახალი პერსპექტიული ჯიშების გამოყვანისა და მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე.

მ. ფულუკიძე,
საქართველოს სსრ სახელმწიფო სასელექციო სადგურის დირექტორი.

ჩემი ფვლილი

12 წელია ტრაქტორის საჭეს ვმართავ. 1952 წელს სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა წარმატებით შევასრულე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ საანგარიშო მოხსენებაში XV ყრილობაზე თქვა: „თანამედროვე პირობებში ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია, თუ არ მოხდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ფართო მექანიზაცია“. ამ მითითების შესასრულებლად გადაწყვეტილი გვაქვს, ახალ წელს ჩვენი სატრაქტორო ბრიგადა გადავიყვანოთ კომპლექსურ მექანიზაციაზე. 1953 წლის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმას 300 პროცენტით შევასრულებ.

ელენე ნატროშვილი,
სოფლის რაიონის ტიბაანის მტს-ის ტრაქტორისტი, ლენინის ორდენოსანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მექანიზაციის ძალა

შარშან კომბაინის დღიური გამომუშავება 25 ჰექტარამდე ავიყვანე, ზოგჯერ დღეში 35-36 ჰექტარსაც ვმკიდი. მოსავალი 630 ჰექტარზე ავიღე.

განზრახული მაქვს წელს მოსავალი 700 ჰექტარზე ავიღო. ამ საქმისათვის აქედანვე ვემზადები.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ ის პასუხსაგები ამოცანა, რომელიც საკომეურნეო ცხოვრების შემოქმედმა ამხანაგმა სტალინმა სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს დაუსახა.

სოლომონ რამაზაშვილი,
ახმეტის მტს-ის კომბაინერი.

მეტი ძართული ციტრუსისათვის

ახალ სტალინურ ხუთწლედში ციტრუსოვანთა განვითარების დარგში დიდი ამოცანებია დასახული. ვალდებულებას ვკისრულობ ჩვენი რგოლის სახელით ახალ სამეურნეო წელს უზრუნველვყოთ 1,5 მილიონი ცალი მანდარინისა და ათეულ ათასობით ცალი ლიმონისა და ფორთოხლის ნაყოფის მოყვანა.

ძ. შავიშვილი,
ქობულეთის რაიონის ყვედა ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი.

სასიხარულო ფელი

მეხუთე წელია, რაც ფერმაში ძროხების მწველავად ვმუშაობ. ნაყოფიერი იყო გასული წელი; მოსავლელად ჩაბარებული მყავდა 11 ძროხა, რომელთაგან მივიღე და გავზარდე ამდენივე ჯანსაღი ხბო. თვითეულ ძროხაზე მივიღე 1.050 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრისა.

პირობას ვიძლევი, ახალ — 1953 წელს ეიმუშავებ უფრო უკეთესად.

ელენე ნიკლაური,
დუშეთის რაიონის სოფელ მაკართის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

ტით, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — 18 პროცენტით. ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს დიდ ჩინელ ხალხს.

ამ დღეებში საბჭოთა ხალხებმა უდიდესი სიამაყისა და სიხარულის გრძნობით აღნიშნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 30 წლისთავი. ეს სახალხო ზეიმი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და ძლიერების დემონსტრაცია იყო.

1952 წლის განმავლობაში, ისევე როგორც ყოველთვის, საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად და განუხრელად ახორციელებდა ხალხთა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სტალინურ პოლიტიკას. ჩვენი პარტიის XIX ყრილობაზე დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა თქვა: „რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი ინტერესები საერთოდ განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან“. ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ დიპლომატიური კორესპონდენტის ჯეიმს რესტონის კითხვებზე, რაც ამას წინათ ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა, კვლავ ადასტურებს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიან მიზნებს.

თავიანთი ძალებისადმი ღრმა რწმენით ეგებებიან საბჭოთა ხალხები 1953 წელს. მათ იციან, რომ იგი კომუნიზმის მშენებლობაში ახალ დიდ გამარჯვებათა წელი იქნება.

II.

სრულიად საწინაღმდეგო შედეგებით დაამთავრა 1952 წელი კაპიტალისტურმა სამყარომ, ომისა და იმპერიალიზმის ბანაკმა. ამერიკელი აგრესორები განაგრძობდნენ დანაშაულებრივ ომს კორეაში მათ გამოიყენეს ბაქტერიოლოგიური იარაღი, მიმართეს ომის წარმოების ყველაზე საშინელ და სიზიზღარ მეთოდებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ შეძლეს და ვერც შეძლებენ გატეხონ თავისუფლებისათვის მებრძოლი კორეელი ხალხის ნებისყოფა. დამარცხებებს განიცდიან ინგლისელი დამპყრობლები მალაიაში და ფრანგი კოლონიზატორები — ვიეტნამში.

ინგლისურ ჟურნალ „ეკონომისტის“ ცნობების თანახმად მთელ კაპიტალისტურ სამყაროში 1952 წლის პირველ ნახევარში წარმოების მოცულობა თითქმის 3 პროცენტით შემცირდა. ამერიკაში სამრეწველო წარმოება გასული წლის 9 თვეში, 1951 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, შემცირდა 3 პროცენტით, ინგლისში — 5 პროცენტით. მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე მრეწველობის დარგებიც მოიცვა. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა გამალებული შეიარაღების გზით ხელოვნურად გამოწვეული „ეკონომიკური გამოცოცხლება“ ვერ იძლევა მრეწველობის დანარჩენი დარგების დაცემის კომპენსაციას. ჩიხში მოემწყვდა კაპიტალისტური ქვეყნების საგარეო ვაჭრობა. მაგალითად, თუ 1951 წლის 9 თვეში საფრანგეთის სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 82 მილიარდ ფრანკს შეადგენდა, გასული წლის 9 თვეში იგი უკვე 186 მილიარდამდე გაიზარდა.

დღითიდღე უარესდება მშრომელთა ცხოვრების პირობები, იზრდება უმუშევრობა, ძლიერდება საგაფიცვო მოძრაობა. 1952 წლის პირველ შვიდ თვეში, 1951 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, უმუშევართა რიცხვი გაიზარდა ინგლისში 70 პროცენტით, ჰოლანდიაში — 65 პროცენტით, ბელგიაში — 30 პროცენტით. ამერიკის შეერთებულ შტატებში 13 მილიონი მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევარია. საფრანგეთში მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევართა რაოდენობა 2,5 მილიონს აღემატება. მაშინ როცა იმპერიალიზმი უმუშევრობასა და სიღატაკეს განუმზადებს მშრომელებს, კაპიტალისტური მაგნატები ახალ-ახალი ზემოგებებით ისქელებენ ჯიბეს. საკმარისია ითქვას, რომ ამერიკის ექვსი დიდი საავიაციო კომპანიის მოგება 1952 წლის პირველ ნახევარში, 1951 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 36 პროცენტით გაიზარდა... მაღლდება მშრომელთა პოლიტიკური შეგნებულობა, ისინი საგაფიცვო მოძრაობის ფართოდ გაშლით უპასუხებენ კაპიტალისტების შეტევას მათი ცხოვრების პირობებზე. გასული წლის პირველ შვიდ თვეში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა 3 ათასზე მეტი გაფიცვა.

მწვავდება წინააღმდეგობანი იმპერიალიზმის ბანაკის ქვეყნებს შორის. ამერიკის აგრესიული საგარეო და სავაჭრო პოლიტიკა ევროპის ქვეყნების მზარდ წინააღმდეგობას აწყდება. გასული წლის ოქტომბერში ამერიკული იმპერიალიზმის ისეთი მორჩილიც კი, როგორიც საფრანგეთის პრეზიდენტი ორიოლია, იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ ამერიკის მმართველ წრეებს უფლება არა აქვთ იტრაბახონ თავიანთი დახმარებით ე. წ. „მარშალის გეგმის“ ფარგლებში. მარშალიზებული ქვეყნების მმართველი წრეებისათვის სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება ამერიკის პოლიტიკის ავანტიურისტული ხასიათი. ჰამბურგის ჟურნალი „დერ შპიგელი“ წერდა: „ევროპა მოითხოვს ამერიკისაგან ნაკლებ ფულსა და მეტ გონიერებას“. კაპიტალისტურ ბაზარზე თავიანთ პოზიციებს კარგავენ ინგლისელი, ფრანგი, იტალიელი იმპერიალისტები. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო წინააღმდეგობებმა ამერიკასა და ინგლისს შორის. ამერიკა ყოველნაირად ცდილობს დაასუსტოს ინგლისის როლი კაპიტალისტურ სამყაროში. ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი“ წერდა: „სახელმწიფოებს არ შეუძლიათ მოკავშირეები იყვნენ პოლიტიკურ და სამხედრო დარგში, თუ ისინი ერთმანეთს ყელსა ჭრიან ვაჭრობის სფეროში“.

კაპიტალისტური სამყარო მწვავე პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებული ტერორისა და შანტაჟის ვითარებაში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები. უოლ-სტრიტის მაგნატებმა მოახერხეს პრეზიდენტად გენერალ ეიზენჰაუერის არჩევა. დემოკრატიული პარტიის კანდიდატის სტივენსონის დამარცხება არჩევნებში ნიშნავს, რომ ამერიკელმა ხალხმა დაგმო ტრუმენის რეაქციული საშინაო და აგრესიული საგარეო პოლიტიკა. ამომრჩევლებმა უპირველეს ყოვლისა ხმა მისცეს არა ეიზენჰაუერს, არამედ მათ ხმა მისცეს ტრუმენის პოლიტიკის წინააღმდეგ... საფრანგეთში გრძელდება მორიგი პოლიტიკური კრიზისი, რაც ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის პირდაპირი გამოვლინებაა.

შინაგანი წინააღმდეგობანი ღრღნიან და ასუსტებენ ომისა და იმპერიალიზმის ბანაკს. ამერიკელი იმპერიალისტები და მათი უმცროსი ინგლისელი პარტნიორები გამალებით ამზადებენ ახალ ომს — ფიქრობენ მოიპოვონ მსოფლიო ბატონობა, ომით დაიღწიონ თავი შინაგან წინააღმდეგობებს. თავის დროზე ასეთივე მიზნები ამოძრავებდა ჰიტლერსაც.

რაც შეეხება მსოფლიოს ხალხებს, მათ სურთ არა ომი, არამედ მშვიდობა. ამას წინათ ვენაში შედგა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ხალხთა ასამბლეას წარმოადგენდა. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ეროვნების, პარტიული კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებისა და რელიგიური რწმენის ადამიანები. კონგრესმა ერთხელ კიდევ ცხადყო მშვიდობისათვის გაჩაღებული თანამედროვე მოძრაობის განსაკუთრებით მასობრივი და ორგანიზებული ხასიათი. მშვიდობისათვის მებრძოლები მტკიცედ იმაღლებენ ხმას ომის წინააღმდეგ.

მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები ეგებებიან ახალ წელს იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ისინი კიდევ უფრო მედგრად იბრძოლებენ ახალი ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

გ. მელაძე.

სიცოცხლისათვის

ლაბორატორიაში ყოველ დილით ათობით წერილი მოდის. ლენინგრადიდან და ტაშკენტიდან, კარელია-ფინეთის რესპუბლიკიდან და მოლდავეთიდან, სიმფეროპოლიდან და ვლადივოსტოკიდან იწერებიან ბიოლოგები, ბოტანიკოსები, აგრონომები, ექიმები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებსაც დიდად აინტერესებთ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების წარმატებანი და მისი განვითარების შემდგომი გზები.

ათეალიერებ ამ კორესპონდენციას და სიამაყისა და სიხარულის გრძნობას განიცდი შენი სამშობლოსათვის, სადაც მეცნიერის შრომას ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობა ენიჭება.

გააბათილა რა ვირხოვის რეაქციული უჯრედთა თეორია, რომელიც ას წელიწადს იყო გაბატონებული, საბჭოთა მოწინავე მეცნიერება იმას კი არ დასჯერდა, რომ დაესაბუთებინა ახალი საბჭოთა მატერიალისტური თეორია ცოცხალი ნივთიერებისაგან უჯრედის წარმოშობის შესახებ, არამედ ერთბაშად წარმართა ეს თეორია ხალხის საკეთილდღეოდ. გასული წლის მანძილზე ჩვენმა ციტოლოგიურმა ლაბორატორიამ ბევრი ექსპერიმენტი და შემოქმედებითი თათბირი მოაწყო ახალ პრობლემებზე, რომლებიც ჩვენი მეცნიერული მიზანდასახულობიდან გამომდინარეობენ და მჭიდროდ არიან დაკავშირებული მიჩურინული ბიოლოგიის, მედიცინის და სიცოცხლის წარმოშობის პრაქტიკულ საკითხებთან.

ჩვენ უკვე გვაქვს ზოგიერთი პრაქტიკული შედეგი სხვადასხვა დაავადების დროს პიროველადი ცოცხალი ნივთიერების როლის შესწავლაში. ჩვენი ის დებულება, რომ უჯრედები შეიძლება შეიქმნას არა მარტო არსებული უჯრედების დაყოფის გზით, არამედ უჯრედის გარშემო არსებული ცოცხალი ნივთიერებისაგან მათი განვითარების გზითაც, კვლავ დაადასტურა ექსპერიმენტულად ჩვენი ლაბორატორიისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკის ინსტიტუტის მეცნიერთა უკანასკნელმა ცდებმა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი ლაბორატორიის კოლექტივი ეგებება ახალ, 1953 წელს გამსჭვალული იმ სურვილით, რომ უფრო მეტად და ნაყოფიერად იშრომოს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მეცნიერული მუშაობის ჩვენს უბანზე ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა უფრო სრულად განვახორციელოთ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ი. ბ. სტალინის მითითებები თეორიისა და პრაქტიკის კავშირის განმტკიცების შესახებ, ცოდნის ყველა დარგში საბჭოთა პრიორიტეტის დამკვიდრების შესახებ. ჩვენ ვიბრძოლებთ საბჭოთა მედიცინის აყვავებისათვის, ადამიანის ჯანმრთელობისა და ბედნიერებისათვის, მისი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

ო. ლეპეშინსკაია,
სტალინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი.

საბჭოთა ბიოლოგია სახალხო კეთილდღეობის სამსახურში

საუბარი აკადემიკოს ა. ი. ოპარინთან

ბუნების შეცნობის მძლავრი დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდით შეიარაღებულ საბჭოთა ბიოლოგიურ მეცნიერებას, რომელიც ი. ვ. მიჩურინისა და ი. პ. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე ვითარდება, ყველაზე მოწინავე პოზიციები უკავია მსოფლიო მეცნიერებაში.

პარტიის XIX ყრილობის მიერ საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახული ამოცანები, ბიოლოგებისაგან მოითხოვს კვლევის კიდევ უფრო გაფართოებას. კვლევა ჩაღდება თანამედროვე ბუნებისმეტყველების დიდი თეორიული პრობლემების დამუშავების მიმართულებით.

დიდ თეორიულ პრობლემათა შორის უწინარეს ყოვლისა დასახელებულ უნდა იქნას ისეთები, როგორიც არის ცილოვან სხეულთა და ნივთიერებათა ცვლის კანონზომიერების შესწავლა, მიკრობების, ცოცხალი ნივთიერების არაუჯრედოვან და უჯრედოვან ფორმათა ბუნების, გარეშე წრის ზეგავლენით ორგანიზმების მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის გამოკვლევა.

ჩვენში შორს წავიდა ცილის — ყოველი ორგანიზმის სიცოცხლის საფუძვლის შესწავლა. თანამედროვე საბუნებისმეტყველო ცნობები მთლიანად ამქაოვნებენ იმ როლს, რომელსაც ანიჭებს ენგელსი ცილოვან სხეულებს სიცოცხლის პროცესში. ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში ექსპერიმენტული გზით მოხერხდა საინტერესო შედეგების მიღება ცილის მოლეკულში ამინომჟავების შეცვლადობის დარგში. ეს შედეგები ახალ პერსპექტივებს უქმნიან ცილებსა და ამინომჟავებს შორის ცვლის შესწავლას, რაც ულაღრესად მნიშვნელოვანია სიცოცხლის პროცესებში ცილის როლის შესახებ მოძღვრების განვითარებისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სამუშაოთა შემდგომ განვითარებას, რომლებიც ხორციელდება აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს ხელმძღვანელობით მცენარეთა საგაზაფხულო ფორმების საშემოდგომო ფორმებად გადაქცევისათვის. გამომჟღავნებულია შემოდგომის პირობების როლი შემოდგომისობის თვისებათა ჩამოყალიბებაში და გამორკვეულია მზის შუქის განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ პროცესში. გამოვლინებული კანონზომიერებანი საშუალებას იძლევიან გამოვიმუშაოთ ისეთი მეთოდი, რომლის გამოყენებითაც ყოველ აგრონომს, მცდელ კოლმეურნეს შეეძლია შექმნას სამი წლის განმავლობაში ამ რაიონის კლიმატური პირობებისათვის ყველაზე შესაბამისი საშემოდგომო კულტურა.

აკადემიკოს ნ. ვ. ციცინის მიერ გამოყვანილი ხორბალ-ჭანგის ჰიბრიდები ფართოდ გავრცელდა მოსკოვის ოლქში. წელს ისინი საწარმოო გამოცდისათვის გადაეცა სარწყავ რაიონებს.

წელს ფართოდ გავრცელდა სახალხო მეურნეობაში კარტოფილის შენახვისა და ტრანსპორტირების დროს მისი გაღივების შეჩერების მეთოდი, რაც შეიმუშავა მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა. უკვე ბევრი რამ გაკეთა ბიოლოგიურმა მეცნიერებამ სამხრეთის ზღვებისა და მდინარეების თევზის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ამ ზღვებისა და მდინარეების აუზებში ჰიდროშენებლობასთან დაკავშირებით.

ჩვენმა ბიოქიმიამ დახმარება გაგვიწია გამოგვენახა საწარმოო პროცესების ტექნოლოგიის, მართვის საუკეთესო მეთოდები კვების მრეწველობასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. ახლა ბიოქიმიური კონტროლით მოცულია ჩვენი ქვეყნის ჩაის ფაბრიკების მეტი ნაწილი. მას იყენებენ აგრეთვე მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიც არის პურის ცხობის, მეღვინეობისა და შაქრის მრეწველობა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნიადაგმბრივი და მცენარეული საფარის განვითარების კანონზომიერების გამორკვევას. 26-ტომიანი კაპიტალური შრომის „სსრ კავშირის ფლორის“ შედგენა აჯამებს საბჭოთა კავშირის ფლორის მთელი სხვადასხვაობის (16 ათასი სახის) მრავალწლიან შესწავლას და საფუძველს უქმნის ჩვენი სამშობლოს მცენარეულ სიმდიდრეთა გეგმაშეწონილ ათვისებას. გამოვიდა ძვირფასი შრომა „სპოროვან მცენარეთა ფლორა სსრ კავშირში“, შედგენილია მცენარეულობათა რუკები და ყვავილოვან-დეკორაციულ მცენარეთა კატალოგები. საბჭოთა ბოტანიკოსების დიდ ყურადღებას იქცევს ჩვენი ქალაქებისა და კომუნიზმის დიად მშენებლობათა რაიონების გამწვანების საკითხები. იმ მცენარეთა საერთო რიცხვი, რომლებიც წელს მეცნიერებათა აკადემიას ბოტანიკურმა ბაღმა გადასცა ქალაქების გამწვანებისათვის, ორთ მილიონ ცალს აღემატება. 10 ათასზე მეტი გლადიოლუსი, ბევრი ფლოქსი, ვარდი და ზამბახია გადაცემული ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის ნაპირების გამწვანებისათვის.

ახალ, 1953 წელს საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერების მოღვაწენი კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ თავიანთ გამოკვლევებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომ აყვავებას. (საკდესი).

ნოვაია კახოვკის პროექტი

კიევი, 29 დეკემბერი. (საკდესი). უკრაინის სსრ არქიტექტურის აკადემიის კოლექტივმა ხარკოვის „ქალაქმშენპროექტთან“ ერთად დაამთავრა ქალაქ ნოვაია კახოვკის (ენტრალური ნაწილის პროექტის დამუშავება. ამჟამად ახალგაზრდა ქალაქის ცენტრში კულტურის სასახლის მონუმენტურ შენობაში ასრულებენ მოპირკეთების სამუშაოებს. სასახლის ფასადი მომავალ მთავარ მოედანზე გადის.

მოედანზე დაიწყო მშენებლობის სამმართველოს შენობის აგება. ეს იქნება დიდი, არქიტექტურულად გაფორმებული კორპუსი, რომელსაც დაადგურგვინებს კოშკი.

ორი სხვა მხრიდან მოედანს გარშემორტყმული ექნება საცხოვრებელი შენობები, რომელთა პირველ სართულებში მოთავსდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები.

გეგმით გათვალისწინებულია ქალაქის ცენტრის მშენებლობის, გამწვანებისა და კეთილმოწყობის დამთავრება 1953 წელს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-5 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ბუქარესტში

ბუქარესტი, 30 დეკემბერი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-5 წლისთავის აღსანიშნავად დღეს ბუქარესტში გაიმართა რუმინეთის მუშათა პარტიის საქალაქო კომიტეტისა და ბუქარესტის სახალხო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. გეორგიუ-დეჟი, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე დოქტორი პეტრუ გროზა, იოსებ კიშინიოვსკი, ალექსანდრუ მოგიოროში, გეორგე აპოსტოლი, მირონ კონსტანტინესკუ, კიევუ სტოიკა, შეიარაღებული ძალების მინისტრი არმიის გენერალი ემილ ბოდნარაში, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი აკადემიკოსი კ. პარხონი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ა. ი. ლავრენტიევი, რომლებსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

სხდომის თავმჯდომარე, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გეორგე აპოსტოლი წინადადებას იძლევა საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას რუმინელი ხალხის საუკეთესო მეგობარი, შრომელი კაცობრიობის ბელადი ამხანაგი ი. ბ. სტალინი. ყველანი ფეხზე დგებიან და ოვაციას მართავენ დიდი სტალინის პატივსაცემად. საპატიო პრეზიდიუმში მჭუხარე ტაშით ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გ. გეორგიუ-დეჟის მეთაურობით.

საზეიმო სხდომაზე მოხსენება გააკეთა რუმინეთის შეიარაღებული ძალების მინისტრმა არმიის გენერალმა ემილ ბოდნარაშმა.

შეკრებილებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის წარმატებანი 1952 წელს

პრაღა, 30 დეკემბერი. (საკდესი). ხუთწლედის მეოთხე წელს, რომელიც უკვე მთავრდება, შრომელებმა სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ოფიციალური ცნობებით, ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის საერთო პროდუქცია ახლა თითქმის ერთიორად აღემატება ომამდელი 1937 წლის დონეს. განსაკუთრებით დიდი წარმატებებია მიღწეული სლოვაკიაში, სადაც სამრეწველო წარმოების მოცულობამ 4,5-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს.

რესპუბლიკის უდიდეს მშენებლობაზე — კლემენტ გოტვალდის სახელობის მეტალურგიულ კომბინატში, ოსტრავის მახლობლად, საექსპლოატაციოდ გადასცეს ათობით ობიექტი, მათ შორის ერთი ბრძმედი, ორი მარტენის ღუმელი, კოქსის ბატარეა, საგლინავი სამქრო და სხვ.

წელს დამთავრდა ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე ვაგსა და მდინარე ხრუდიმკაზე.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის გეგმის შესაბამისად მრეწველობის საერთო პროდუქცია 1952 წელთან შედარებით გაიზრდება 18,4 პროცენტით.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 30 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ წინანდელ ზღუდეებზე.

გუშინ ღამით ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს ფხენიანის მიდამოებში, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტი არ მოიპოვება, და ბარბაროსულად დაბომბეს ისინი.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის სამი თვითმფრინავი.

სავაღაღო შედეგები და შავბნელი პერსპექტივები

გაძლიერდა ბრაზილიის მშრომელთა გაღატაკება

მონტევიდეო, 30 დეკემბერი. (საკდესი). გამალებული შეიარაღების პოლიტიკა, რომელსაც ბრაზილიის მთავრობა ახორციელებს ამერიკელი მონოპოლისტების საამებლად, მძიმე ტვირთად აწვება მშრომელთა ფართო მასებს. უმუშევრობის, სიძვირის ზრდა, აუტანელი საგადასახადო ტვირთი, სიღატაკის გაძლიერება — ასეთი სავალალო შედეგებით ამთავრებს 1952 წელს ბრაზილიის მშრომელი ხალხი.

კრიზისი, რომელიც სულ უფრო მწვავდება, წერდა 3 დეკემბერს გაზეთი „იმპრენსა პოპულარი“, იწვევს უმუშევრობის ზრდას. ბრაზილიის უდიდეს სამრეწველო ცენტრში სან-პაულოში 1952 წელს მასობრივად დათხოვეს მუშები ამერიკელთა საწარმოებიდან, რომლებიც კაუჩუკის ნაწარმს ამზადებენ.

საფეიქრო მრეწველობაში დაითხოვეს მუშათა საერთო რაოდენობის თითქმის 20 პროცენტი. ქალაქ პაულისტაში (პერნამბუკოს შტატი) „იმპრენსა პოპულარის“ ცნობებით, მარტო ლინდგრენის საფეიქრო ფაბრიკაში დათხოვნა მოელის 8 ათას მუშას.

გაზეთი „ო პოპულარი“ იუწყებოდა, რომ 1951 წლის ოქტომბრიდან 1952 წლის ოქტომბრამდე შაქრის ფასი 30 პროცენტით გადიდდა, კარტოფილისა — 36 პროცენტით, ხორცისა — 80 პროცენტით, ლობიოსი — 84 პროცენტით, ფეტვისა — 60 პროცენტით.

ბრაზილიაში განუწყვეტლივ ადიდებენ გადასახადებს, უმთავრესად არაპირდაპირ გადასახადებს. ჟურნალ „კონფუნტურა ეკონომიკას“ ცნობით, 1951 წელს დაბეგვრისაგან მიღებული თანხა შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი შემოსავლის 76,8 პროცენტს; 1953 წლისათვის მოწონებულ სახელმწიფო ბიუჯეტში ეს თანხა 79 პროცენტამდე გადიდდა.

ბრაზილიაში, გაზეთ „ულტიმა ორას“ ცნობით, ყოველ 10 ათას მოსახლეზე მოდის სულ 1 სამედიცინო პუნქტი. ქალაქ ნატალში 1.000 ახალდაბადებულიდან კვდება 403. შტატების შიდ დედაქალაქში, მათ შორის რიო-დე-ჟანეიროში, სიკვდილის მთავარი მიზეზია ტუბერკულოზი; 4.600 ათასი ბრაზილიელი ცხოვრობს მუნიციპალიტეტებში, სადაც არ არიან მუდმივად მცხოვრები ექიმები. როგორც კონგრესის დეპუტატმა ლიურო კრუსმა განაცხადა, ბრაზილიაში 2 მილიონამდე უპატრონო ბავშვია.

პრესის ცნობებიდან ჩანს, რომ მომავალ 1953 წელს ბრაზილიელ მშრომელებს „მოელით ახალი გაჭირვება“, რაც დაკავშირებულია გადასახადების, ფასების ზრდასთან და სხვ.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

ლონდონი, 31 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის საგაზეთოს კორესპონდენტი პარიზიდან იუწყება:

30 დეკემბერს საღამოს ბიდომ უარი თქვა საფრანგეთის ახალი მთავრობის შედგენის ცდებზე.

საახალწლო „საჩუქარი“ იმპერიალისტ დამპყრობლებს

ნახ. გ. ლომიძისა.

საახალწლო ნაძვისხეთან.

ფოტოტიუდი ვ. გინზბურგისა.

ახალი წელი მთებში

შორს, მარადიული თოვლით დაფარული მაღალი მთის კალთაზე, განუწყვეტელი ქარბუქის, ნისლისა და ყინვარების სამეფოში მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურში მუშაობს რვა მოზამთრე: ვალერიან, გიორგი, ვასილ, სიმონ და შალვა სუჯიაშვილები, ალექსანდრე ვერტახოვი, ვასილ წიკლაური და რადისტი ნოვოსელოვი.

— როგორ ხვდებით ახალ წელს? — ეკითხებიან მათ რადიოთი თბილისიდან.

— შესანიშნავი მიღწევებით, მრავალი ახალი მასალით, საუკეთესო მაჩვენებლებით. ეს ორი დღეა აქ ქარბუქი შენელდა, ბინიდან გარეთ გამოსვლა იმდენად ძნელი აღარ არის. ყოველ ორ საათში ვახდენთ დაკვირვებებს, ვაჯამებთ მიღებულ მასალებს.

— რა არის ახალი თქვენს მუშაობაში?

— ბევრი რამ, — ამბობს ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის უფროსი ვალერიან სუჯიაშვილი. — ჩვენი მოზამთრეები დიდი ხალისით შეუდგნენ მთელ რიგ ახალ დავალებათა შესრულებას, კერძოდ მზის ნათების ინტენსივობაზე დაკვირვებას. ურთიერთშორის გაჩაღებული ბაჯენდა სოციალისტური შეჯიბრება. კარგი მაჩვენებლები გვაქვს. ეი ახლა, 1952 წლის უკანასკნელ საღამოს, შევუდექით ამ მაჩვენებელთა შეჯამებას, გამარჯვებულთა გამოვლენებას და გადაწყვეტილი გვაქვს იანვრის პირველი დღეებიდანვე ახალი ენთუზიაზმით განვაგრძოთ შეჯიბრება.

შემდეგ მოზამთრეებს შეეკითხნენ საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ: სურსათ-სანოვაგის მარაგი საკმაოზე მეტი აქვთ, საახალწლოდ ბლომად მიიღეს ტკბილეული.

— ამაღამ ჩვენც მთელ ჩვენს საბჭოთა ხალხთან ერთად 12 საათზე შევხვდებით ახალ წელს, — მოისმის შორი მთებიდან მხნე ხმა. — ყველას ვულოცავთ ახალ წელს და ვუსურვებთ წარმატებას მუშაობაში.

1953 წლის კალენდარი

სახელგამმა გამოსცა და საქწიგნს სარეალიზაციოდ გადასცა 1953 წლის მაგიდის კალენდარი ქართულ ენაზე 25.000 ცალი ტირაჟით. კალენდარი იყიდება საქწიგნის ყველა მაღაზიაში. მაგიდის 4.000 ცალი კალენდარი საქწიგნმა გადასცა ცეკავშირს სოფლის ქსელისათვის.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე არდადეგების დღეებში

ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ საახალწლოდ მოაწყო დიდი ნაძვისხე.

2-დან 11 იანვრამდე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე მომსახურებას გაუწევს 5.000 ბავშვს. სასახლის თოჯინების თვითმოქმედი თეატრი თავის ნორჩ მაყურებლებს უჩვენებს მ. მატვეევის „ჯადოსნურ კალოშს“, დ. ჯალაღანიას „მელია და მწყერჩიტას“, „ფისუნია და მამლაყინწას“. თეატრი მოაწყობს გამბელელ სპექტაკლს ლენინის რაიონის პიონერებისა და მოსწავლეებისათვის პლეხანოვის კლუბში.

სასახლის მხატვრული თვითმოქმედი წრეები კონცერტებს გამართავენ 26 კომსორის სახელობის რაიონის ნავთლუღის საბავშვო სახლის აღსაზრდელთათვის.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელი კაბინეტი მოაწყობს ჯგუფურ ექსკურსიებს სტალინური მარშრუტებით, აგრეთვე დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად.

ტექნიკის განყოფილების წრეებში გაერთიანებული ბავშვები მოაწყობენ ექსკურსიებს ქალაქ რუსთავში მეტალურგიული ქარხნის დასათვალიერებლად და ქუთაისში საავტომობილო ქარხნის გასაცნობად.

ხიდი, სასმელები საახალწლოდ

„თბილხილბოსტანეაჭრობამ“ საახალწლოდ დედაქალაქის მოსახლეობის მოსამარაგებლად თავის მაღაზიებში შემოიტანა 300.000 ცალი ლიმონი, 850.000 ცალი მანდარინი, 60 ტონა ვაშლი, 13 ტონა თხილი, 80 ტონა თაფლი, 8 ტონა ხმელი ხილი.

მაღაზიები უახლოეს ხანში მიიღებენ 20 ტონა ზეთისხილს, 45 ტონა ინდისხურმას, 100 ტონა ნიგოზს.

სამტრესტმა საახალწლოდ 5.000 ლიტრით გაიღდა სხვადასხვა მარკის ღვინოების გამოშვება. გაზრდილ რაოდენობით იქნება გამოშვებული აგრეთვე კონიაკი და არაყი.

საახალწლოდ მოსკოვსა და ლენინგრადში გაიგზავნა 250.000 ლიტრი სხვადასხვა მარკის მაღალხარისხოვანი ღვინო და 40.000 ლიტრი კონიაკი.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

1 იანვარს	ჟ. ბიზე — **კარმენ**
2 იანვარს	დღის 12 საათზე ვ. დოლიძე — **ძმათა და კოტე** საღამოს 1. რ. ლეონკავალო — **ჯაჯაბაზები** და 2. **საკონცერტო განყოფილება**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს რადიოგადაცემათა 1 იანვრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით. 11.00 — „პიონერთა დაფიონის“ საახალწლო გამოშვება; 11.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 12.00 — გაზეთ „კომუნისტის“ მიმოხილვა; 12.15 — სიმღერები ძაგნიძისა და ჩხიკვაძის შესრულებით; 12.30 — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მიმოხილვა; 12.45 — სიმღერები ფეოდოროვების შესრულებით; 16.00 — საესტრადო კონცერტი; 17.00 — ოპერა ქეთო და კოტეს მესამე მოქმედება; 17.35 — საბავშვო რადიოდადგმების ფესტივალი; 18.15 — სუფრული სიმღერები და საცეკვაოები; 18.30 — სკეტჩი „არევაძის მოღვაწეობა“; 20.45 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი; 22.35 — ლიტერატურულ-დრამატული გადაცემა.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — პეპო; **მარჯანიშვილის სახელობის** — რაც გინახავს ვეღარ ნახავ (დილას), გაზაფხულის დილა (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ვერაგობა და სიყვარული (დილას, საღამოს — აბონემენტი 11, 12); **სომხური დრამის** — ვაგიფი; **მუსიკალური კომედიის** — ტრემბიტა; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ლადო კვეტოველი (აბონემენტი 16, 11 ს.), გარდატეხა (აბონემენტი 12, 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ორი მეგობარი (11 ს.), გიმნაზიელები (5 ს.); **თოჯინების** — ხაფანგში (12 და 2 ს. 30 წ.); **სანიტარული კულტურის** — კარგი ამხანაგი.

2 იანვარს

რუსთაველის სახელობის — ქარიშხლის წინ; **მარჯანიშვილის სახელობის** — გაზაფხულის დილა (დილას), რაც გინახავს ვეღარ ნახავ (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — რევიზორი (დილას), ღრმა დაზვერვა (საღამოს, აბონემენტი 1, 2); **სომხური დრამის** — გიქორი (აბონემენტი 6, 12 ს.), ხევისბერი გოჩა (აბონემენტი 8, 6 ს.); **მუსიკალური კომედიის** — ჩემი გიუზელი (დილას), სამთა სიყვარული (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჩვენი ადამიანები (აბონემენტი 26, 12 ს.), გარდატეხა (აბონემენტი 8, 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ორი მეგობარი (10 ს. 30 წ.), წინ უშიშარნო (4 ს. 30 წ.); **თოჯინების** — ხაფანგში (12 და 2 ს. 30 წ.); **სანიტარული კულტურის** — მშვიდობის სიმფონია.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03; 3-82-05; პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ЦЭ 00701